სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

20 ივლისი, 2026 წ.

ბრძანება № 01-02/141

ბსუ-ს რეზიდენტურის ალტერნატიული დიპლომისშემდგომი განათლების (პროფესიული მზადების) **სარეზიდენტო და მომიჯნავე სპეციალობაში გადამზადების პროგრამებზე ,,ორთოპედიული სტომატოლოგია" მიღების გამოცხადების შესახებ**

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, „რეზიდენტურის ალტერნატიულ დიპლომისშემდგომ განათლებაში (პროფესიულ მზადებაში) მონაწილეობის, მისი წარმართვისა და შეფასების წესისა და იმ სამედიცინო დაწესებულებების ან/და სასწავლებლების აკრედიტაციის კრიტერიუმების და წესის დამტკიცების შესახებ, რომლებშიც შესაძლებელია დიპლომისშემდგომი განათლების (პროფესიული მზადების) კურსის გავლა" საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2009 წლის 8 აპრილის №135/ნ ბრძანების, ,,დიპლომისშემდგომი განათლების (პროფესიული მზადების) პროგრამების განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ" **ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2010 წლის 23 დეკემბრის №135 დადგენილების,** „ბსუ-ს რეზიდენტურის ალტერნატიული დიპლომისშემდგომი სამედიცინო განათლების (პროფესიული მზადების) პროგრამებზე **სწავლის საფასურის გადახდის წესის** დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2020 წლის 11 მარტის **№01-10/36** ბრძანების, ,,რეზიდენტურის ალტერნატიული დიპლომისშემდგომი სამედიცინო განათლების (პროფესიული მზადების) სარეზიდენტო პროგრამის „ორთოპედიული სტომატოლოგია" და მომიჯნავე სპეციალობაში გადამზადების პროგრამის „ორთოპედიული სტომატოლოგია" განხორციელებისათვის გასატარებელი ღონისძიებების შესახებ" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2026 წლის 12 თებერვლის **№06-01/18** დადგენილების, ბსუ-ს სარეზიდენტო პროგრამისათვის **„ორთოპედიული სტომატოლოგია" პროფესიული განვითარების საბჭოს 2026 წლის 20 ივნისის №11 გადაწყვეტილებით აკრედიტაციის მინიჭების შესახებ"** საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს წერილის (REG 0 26 00883766, 01/07/2026 წ.), ,,რეზიდენტურის ალტერნატიული დიპლომისშემდგომი სამედიცინო განათლების (პროფესიული მზადების) პროგრამებზე (სტომატოლოგიის მიმართულებით) სწავლის საფასურის, პერსონალის შრომის ანაზღაურებისა და პირველადი ხარჯთაღრიცხვების დამტკიცების თაობაზე" ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2026 წლის 16 თებერვლის №01-10/12 ბრძანების, ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის სტომატოლოგიის დარგობრივი დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორის, სარეზიდენტო პროგრამის **„ორთოპედიული სტომატოლოგია"** ხელმძღვანელის, ფრიდონ ჯაფარიძის **სამსახურებრივი ბარათის** (MES 4 26 0000943717, 17/07/2026 წ.) საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. **გამოცხადდეს მიღება** ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის რეზიდენტურის ალტერნატიული დიპლომისშემდგომი განათლების (პროფესიული მზადების) სარეზიდენტო პროგრამაზე **„ორთოპედიული სტომატოლოგია“** (პროგრამის ხანგრძლივობა - 15 თვე, მისაღები კვოტა - **6 ადგილი) და** მომიჯნავე სპეციალობაში გადამზადების პროგრამაზე „ორთოპედიული სტომატოლოგია“ (ხანგრძლივობა - 6 თვე; მისაღები **კვოტა - 3 ადგილი) და განისაზღვროს კონკურსის ვადები:**
   ა) კონკურსანტთა სააპლიკაციო განცხადებების (შევსებული წინამდებარე ბრძანების №1 **და №2 დანართების** შესაბამისად) **და დოკუმენტაციის** (ჩამონათვალი მოცემულია წინამდებარე ბრძანების **№3 დანართში)** წარმოდგენა **2026 წლის 21 ივლისიდან 28 ივლისის ჩათვლით (გარდა შაბათ-კვირისა), 10:00 სთ–დან 17:00 სთ–მდე პერიოდში** (აპლიკანტი უფლებამოსილია შესავსები სააპლიკაციო განაცხადის ფორმა ჩამოტვირთოს ბსუ-ს ვებგვერდიდან, შეავსოს და წარმოადგინოს (გამოაგზავნოს) ელექტრონულად, მისამართზე: info@bsu.edu.ge ან წარმოადგინოს მატერიალური სახით, ბსუ-ს საქმისწარმოების სამსახურში (კანცელარია), შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმი, ნინოშვილის ქ. №35, ბსუ-ს №1 კორპუსი, 1-ელი სართული, ოთახი №1).
   ბ) საკონკურსო კომისიის მიერ აპლიკანტთა **(კონკურსანტთა) შეფასება – 2026 წლის 29 ივლისი** (ზუსტი დრო და ადგილი ეცნობება კონკურსანტებს ერთი დღით ადრე);
   გ) კონკურსის შედეგების გამოქვეყნება (კონკურსანტთა ინფორმირება) – 2026 წლის **29 ივლისი**;
   დ) გამარჯვებულ კონკურსანტებთან ხელშეკრულებების გაფორმება - 2026 წლის **30 ივლისი;**
   ე) პროგრამაზე ჩარიცხვის შესახებ ბსუ-ს რექტორის ბრძანების გამოცემა - არაუგვიანეს **2026 წლის 31 ივლისისა;**
   ვ) სარეზიდენტო და გადამზადების პროგრამებზე **სასწავლო პროცესის დაწყება** - 2026 წლის **3 აგვისტო.**
2. გამარჯვებული კონკურსანტი გამოვლინდეს საკვალიფიკაციო გამოცდაზე მიღებული ქულების და ბსუ-ს საკონკურსო კომისიასთან (პროგრამის ხელმძღვანელის თავმჯდომარეობით, პროგრამის მოდულების განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირების ან/და ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის ჯანდაცვის მიმართულებით სხვა პერსონალის შემადგენლობით) გასაუბრების შედეგების ან/და დამატებით, საკონკურსო კომისიის მიერ განსაზღვრული გამოცდის (სპეციალობაში ჩატარებული ტესტირების) შედეგების გათვალისწინებით (საკონკურსო კომისიის მიერ განსაზღვრული **შეფასების წესი უნდა ეცნობოს** კონკურსანტს, გასაუბრებამდე არანაკლებ **ერთი დღით ადრე).**
3. **ჩატარებული კონკურსის შედეგები** (პროგრამაზე ჩარიცხვის უფლებამოპოვებული პირების გამოვლენა) გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე და ეცნობოს კონკურსანტებს, მათ მიერ სააპლიკაციო განაცხადებში მითითებულ ელფოსტაზე.
4. კონკურსის შედეგების და გამარჯვებულ კონკურსანტებთან გაფორმებული ხელშეკრულებების შესახებ პროგრამის ხელმძღვანელის სამსახურებრივი ბარათის

(ფაკულტეტის დეკანის ვიზირებით) საფუძველზე გამოიცეს ბსუ-ს რექტორის ბრძანება გამარჯვებული კონკურსანტების შესაბამის პროგრამაზე ჩარიცხვის შესახებ.

5. ბრძანება საჯარო გამოცხადების მიზნით გამოქვეყნდეს ბსუ–ს ოფიციალურ ვებგვერდზე, ასევე განთავსდეს ბსუ-ს საქმისწარმოების სამსახურთან (კანცელარია) და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანის ოფისთან არსებულ საინფორმაციო დაფებზე.
6. სარეზიდენტო პროგრამის ხელმძღვანელმა უზრუნველყოს პროგრამაზე **მიღების გამოცხადების შესახებ განცხადების** (წინამდებარე ბრძანების №3 დანართი) ბსუ-ს ვებგვერდზე განთავსებისათვის საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურისათვის წარდგენა (web@bsu.edu.ge).
7. ბრძანება დაეგზავნოს ბსუ–ს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს: საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტს, ბსუ-ს საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია), საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, იურიდიულ დეპარტამენტს და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.
8. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.
9. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ. №30).

ბსუ-ს რექტორი ტიტე არუშიძე

,,ბსუ-ს რეზიდენტურის ალტერნატიული დიპლომისშემდგომი განათლების (პროფესიული მზადების) **სარეზიდენტო და მომიჯნავე სპეციალობაში** გადამზადების პროგრამებზე **,,ორთოპედიული სტომატოლოგია"** მიღების გამოცხადების შესახებ"

ბსუ-ს რექტორის 2026 წლის 20 **ივლისის №**01-02/141 **ბრძანების**

№1 დანართი

ბსუ-ს რეზიდენტურის ალტერნატიული დიპლომისშემდგომი განათლების (პროფესიული მზადების) სარეზიდენტო პროგრამაზე **„ორთოპედიული სტომატოლოგია"** ჩარიცხვის მსურველის **სააპლიკაციო განცხადება**	
სახელი და გვარი	
პირადი ნომერი	
დაბადების თარიღი	
მოქალაქეობა	
ფაქტობრივი მისამართი	
ტელეფონი	
ელფოსტა	

მსურს ჩავირიცხო ბსუ-ს რეზიდენტურის ალტერნატიული დიპლომისშემდგომი განათლების (პროფესიული მზადების) სარეზიდენტო პროგრამაზე **„ორთოპედიული სტომატოლოგია"**

ბსუ-ს **რეგულაციების გაცნობის** შესახებ **აპლიკანტის დადასტურება**

აპლიკანტი აცხადებს, რომ წინამდებარე სააპლიკაციო განცხადების წარმოდგენამდე **გაეცნო** ბსუ-ს ეთიკის კოდექსს, **ბსუ-ს შინაგანაწესს** (რომელიც პროგრამაზე ჩარიცხულ პირთან/სპეციალობის მაძიებელთან ხელშეკრულების გაფორმების შემთხვევაში განიხილება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად), **ბსუ-ში პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკას** (აღნიშნული და ბსუ-ს სხვა რეგულაციები განთავსებულია ბსუ-ს ოფიციალურ ვებგვერდზე - www.bsu.edu.ge, ველში - ,,იურიდიული ცნობარი")

ვადასტურებ ხელმოწერით: ----------

პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე აპლიკანტის (შემდეგში - მონაცემთა სუბიექტი) წერილობითი თანხმობა

აპლიკანტი (მონაცემთა სუბიექტი) **აცხადებს თანხმობას,** ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის და ,,ბსუ-ში პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკის" მოთხოვნათა დაცვით დამუშავდეს მისი პერსონალური მონაცემები (სახელი, გვარი, პირადი ნომერი, ელფოსტის მისამართი, ტელეფონის ნომერი, საცხოვრებელი მისამართი, ფოტო, მიღებული განათლება, ჩაბარებული საკვალიფიკაციო გამოცდის შედეგები), **ამ განცხადებაში აღნიშნულ პროგრამაზე ჩარიცხვის მიზნებისათვის და პროგრამაზე ჩარიცხვის შემდეგ, პროგრამის სასწავლო პროცესის მიზნებისათვის.**

აპლიკანტი (მონაცემთა სუბიექტი) **ადასტურებს (აცხადებს),** რომ ინფორმირებულია **მისი პერსონალური მონაცემების შენახვის ვადების** თაობაზე, კერძოდ, მისი პერსონალური მონაცემები დამუშავდება და შეინახება ამ განცხადებაში აღნიშნული მოთხოვნის განხილვა-დამუშავების, აპლიკანტთან საგანმანათლებლო მომსახურების ხელშეკრულების გაფორმების და პროგრამაზე ჩარიცხვის შემთხვევაში,

ასევე სასწავლო პროცესთან დაკავშირებული (საგანმანათლებლო მომსახურება) სამართლებრივი ურთიერთობის პროცესში მონაცემების დამუშავების ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად აუცილებელი დროით, ბსუ-ს სამართლებრივი აქტებით და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ვადით და წესით.

აპლიკანტი (მონაცემთა სუბიექტი) **აცხადებს,** რომ **ინფორმირებულია მონაცემთა სუბიექტის უფლებების შესახებ,** რაც მათ შორის გულისხმობს უფლებამოსილებას, მიიღოს ინფორმაცია მის შესახებ ბსუ-ს მიერ დამუშავებულ მონაცემებზე, მოითხოვოს მათი გასწორება, განახლება, დამატება, დაბლოკვა, წაშლა ან განადგურება, თუ აღნიშნული მონაცემები არასრულია, არაზუსტია, არ არის განახლებული ან მათი შეგროვება და დამუშავება განხორციელდა ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნათა დარღვევით.

ვადასტურებ ხელმოწერით: ----------

აპლიკანტის განცხადებაზე თანდართული დოკუმენტები	
1. პირადობის მოწმობის (ან პასპორტის) ასლი; 2. უმაღლესი სამედიცინო განათლების მიღების დამადასტურებელი დოკუმენტი (დიპლომის ნოტარიულად დამოწმებული ასლი ან ცნობა); 3. მაძიებლის მოწმობის ნოტარიულად დამოწმებული ასლი/ცნობა; 4. ავტობიოგრაფია (cv); 5. ფოტოსურათი, ზომით 3x4 – 2 ცალი;	
განცხადების წარმოდგენის თარიღი (რიცხვი, თვე, წელი)	
აპლიკანტის ხელმოწერა	

,,ბსუ-ს რეზიდენტურის ალტერნატიული დიპლომისშემდგომი განათლების (პროფესიული მზადების) **სარეზიდენტო და მომიჯნავე სპეციალობაში** გადამზადების პროგრამებზე **,,ორთოპედიული სტომატოლოგია"** მიღების გამოცხადების შესახებ"

ბსუ-ს რექტორის 2026 წლის 20 **ივლისის №**01-02/141**ბრძანების**

№2 დანართი

ბსუ-ს რეზიდენტურის ალტერნატიული დიპლომისშემდგომი განათლების (პროფესიული მზადების) მომიჯნავე სპეციალობაში გადამზადების პროგრამაზე **„ორთოპედიული სტომატოლოგია"**	
## ჩარიცხვის მსურველის **სააპლიკაციო განცხადება**	
სახელი და გვარი	
პირადი ნომერი	
დაბადების თარიღი	
მოქალაქეობა	
ფაქტობრივი მისამართი	
ტელეფონი	
ელფოსტა	
მსურს ჩავირიცხო ,,ბსუ-ს რეზიდენტურის ალტერნატიული დიპლომისშემდგომი განათლების (პროფესიული მზადების) მომიჯნავე სპეციალობაში გადამზადების პროგრამაზე „ორთოპედიული სტომატოლოგია"	
ბსუ-ს **რეგულაციების გაცნობის** შესახებ **აპლიკანტის დადასტურება**	
აპლიკანტი აცხადებს, რომ წინამდებარე სააპლიკაციო განცხადების წარმოდგენამდე **გაეცნო** ბსუ-ს ეთიკის კოდექსს, **ბსუ-ს შინაგანაწესს** (რომელიც პროგრამაზე ჩარიცხულ პირთან/სპეციალობის მაძიებელთან ხელშეკრულების გაფორმების შემთხვევაში განიხილება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად), **ბსუ-ში პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკას** (აღნიშნული და ბსუ-ს სხვა რეგულაციები განთავსებულია ბსუ-ს ოფიციალურ ვებგვერდზე - www.bsu.edu.ge, ველში - ,,იურიდიული ცნობარი") **ვადასტურებ ხელმოწერით:** ----------	
პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე აპლიკანტის (შემდეგში - მონაცემთა სუბიექტი) წერილობითი თანხმობა	
აპლიკანტი (მონაცემთა სუბიექტი) **აცხადებს თანხმობას,** ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის და ,,ბსუ-ში პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკის" მოთხოვნათა დაცვით დამუშავდეს მისი პერსონალური მონაცემები (სახელი, გვარი, პირადი ნომერი, ელფოსტის მისამართი, ტელეფონის ნომერი, საცხოვრებელი მისამართი, ფოტო, მიღებული განათლება, ჩაბარებული საკვალიფიკაციო გამოცდის შედეგები), **ამ განცხადებაში აღნიშნულ პროგრამაზე ჩარიცხვის მიზნებისათვის და პროგრამაზე ჩარიცხვის შემდეგ, პროგრამის სასწავლო პროცესის მიზნებისათვის.** აპლიკანტი (მონაცემთა სუბიექტი) **ადასტურებს (აცხადებს),** რომ ინფორმირებულია **მისი პერსონალური მონაცემების შენახვის ვადების** თაობაზე, კერძოდ, მისი პერსონალური მონაცემები დამუშავდება და შეინახება ამ განცხადებაში აღნიშნული მოთხოვნის განხილვა-დამუშავების, აპლიკანტთან საგანმანათლებლო მომსახურების ხელშეკრულების გაფორმების და პროგრამაზე ჩარიცხვის შემთხვევაში,	

ასევე სასწავლო პროცესთან დაკავშირებული (საგანმანათლებლო მომსახურება) სამართლებრივი ურთიერთობის პროცესში მონაცემების დამუშავების ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად აუცილებელი დროით, ბსუ-ს სამართლებრივი აქტებით და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ვადით და წესით.

აპლიკანტი (მონაცემთა სუბიექტი) **აცხადებს,** რომ **ინფორმირებულია მონაცემთა სუბიექტის უფლებების შესახებ,** რაც მათ შორის გულისხმობს უფლებამოსილებას, მიიღოს ინფორმაცია მის შესახებ ბსუ-ს მიერ დამუშავებულ მონაცემებზე, მოითხოვოს მათი გასწორება, განახლება, დამატება, დაბლოკვა, წაშლა ან განადგურება, თუ აღნიშნული მონაცემები არასრულია, არაზუსტია, არ არის განახლებული ან მათი შეგროვება და დამუშავება განხორციელდა ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნათა დარღვევით.

ვადასტურებ ხელმოწერით: ----------

აპლიკანტის განცხადებაზე თანდართული დოკუმენტები
1. პირადობის მოწმობის (ან პასპორტის) ასლი; 2. უმაღლესი სამედიცინო განათლების მიღების დამადასტურებელი დოკუმენტი (დიპლომის ნოტარიულად დამოწმებული ასლი ან ცნობა); 3. დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის სახელმწიფო სერტიფიკატის ,,თერაპიული სტომატოლოგია" ნოტარიულად დამოწმებული ასლი; 4. სსიპ სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს თანხმობის წერილი, მომიჯნავე სპეციალობაში გადამზადების უფლების მოპოვების თაობაზე; 5. ავტობიოგრაფია (cv); 6. ფოტოსურათი, ზომით 3x4 – 2 ცალი;

განცხადების წარმოდგენის თარიღი (რიცხვი, თვე, წელი)	
აპლიკანტის ხელმოწერა	

,,ბსუ-ს რეზიდენტურის ალტერნატიული დიპლომისშემდგომი განათლების (პროფესიული მზადების) **სარეზიდენტო და მომიჯნავე სპეციალობაში** გადამზადების პროგრამებზე **,,ორთოპედიული სტომატოლოგია"** მიღების გამოცხადების შესახებ"

ბსუ-ს რექტორის 2026 წლის 20 **ივლისის №**01-02/141**ბრძანების**

№3 დანართი

1. ბსუ-ს რექტორის ბრძანებით **გამოცხადდა მიღება** ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის რეზიდენტურის ალტერნატიული დიპლომისშემდგომი განათლების (პროფესიული მზადების) შემდეგ პროგრამებზე:
   1.1. სარეზიდენტო პროგრამაზე **,,ორთოპედიული სტომატოლოგია"** (ხანგრძლივობა - 15 თვე), მისაღები კვოტა - 6 ადგილი.
   1.2. მომიჯნავე სპეციალობაში გადამზადების პროგრამაზე ,,ორთოპედიული სტომატოლოგია" (ხანგრძლივობა - 6 თვე), მისაღები კვოტა - 3 ადგილი.
2. **კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი უნდა იქნეს შემდეგი დოკუმენტაცია:**
   ა) სააპლიკაციო განცხადება (ჩამოტვირთეთ თანდართული ფორმა - პროგრამებზე მიღების გამოცხადების შესახებ ბსუ-ს რექტორის ბრძანების №1 დანართი);
   ბ) უმაღლესი სამედიცინო განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი (დიპლომის ნოტარიულად დამოწმებული ასლი ან ცნობა);
   გ) მაძიებლის მოწმობის ნოტარიულად დამოწმებული ასლი/ცნობა;
   დ) ავტობიოგრაფია (cv);
   ე) ფოტოსურათი, ზომით 3x4 – 2 ცალი;
   ვ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი.

   მომიჯნავე სპეციალობაში გადამზადების პროგრამაზე ,,ორთოპედიული სტომატოლოგია" ჩარიცხვის მსურველმა **დამატებით უნდა წარმოადგინოს:**
   ზ) დამოუკიდებელი საექიმო სპეციალობის "თერაპიული სტომატოლოგია" სერტიფიკატის ნოტარიულად დამოწმებული ასლი;
   თ) სსიპ - სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს წერილი მომიჯნავე სპეციალობაში "ორთოპედიული სტომატოლოგია" გადამზადების უფლების მოპოვების შესახებ.

3. კონკურსანტის სააპლიკაციო განცხადება და დოკუმენტაცია **წარმოდგენილი უნდა იქნეს** 2026 წლის **21 ივლისიდან 28 ივლისის** ჩათვლით (გარდა შაბათ-კვირისა), 10:00 სთ–დან 17:00 სთ–მდე პერიოდში (აპლიკანტი უფლებამოსილია შესავსები სააპლიკაციო განაცხადის ფორმა ჩამოტვირთოს ბსუ-ს ვებგვერდიდან, შეავსოს და წარმოადგინოს (გამოაგზავნოს) ელექტრონულად, მისამართზე: info@bsu.edu.ge ან წარმოადგინოს მატერიალური სახით, ბსუ-ს საქმისწარმოების სამსახურში (კანცელარია), შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმი, ნინოშვილის ქ. №35, ბსუ-ს №1 კორპუსი, 1-ელი სართული, ოთახი №1).

4. გამარჯვებული კონკურსანტი გამოვლინდება საკვალიფიკაციო გამოცდაზე მიღებული ქულების და ბსუ-ს **საკონკურსო კომისიასთან გასაუბრების შედეგების** ან/და დამატებით, საკონკურსო კომისიის მიერ განსაზღვრული გამოცდის (სპეციალობაში ჩატარებული ტესტირების) შედეგების გათვალისწინებით - 2026 **წლის 29 ივლისს** (ზუსტი დრო და ადგილი ეცნობება კონკურსანტებს ერთი დღით ადრე).
5. კონკურსის შედეგების გამოქვეყნება ბსუ-ს ვებგვერდზე (კონკურსანტთა ინფორმირება) – 2026 წლის **29 ივლისი;**
6. გამარჯვებულ კონკურსანტებთან **ხელშეკრულებების გაფორმება - 2026 წლის 30 ივლისი** (გამარჯვებული კონკურსანტი ვალდებულია ხელშეკრულების გასაფორმებლად გამოცხადდეს ფაკულტეტის ადმინისტრაციის მიერ განსაზღვრულ დროს და ადგილზე და თან წარმოადგინოს მის მიერ წარმოდგენილი საკონკურსო დოკუმენტაცია მატერიალური სახით).
7. **პროგრამაზე სწავლის საფასური** შეადგენს: სარეზიდენტო პროგრამაზე ,,ორთოპედიული სტომატოლოგია" (ხანგრძლივობა 15 თვე) - 10500 ლარს **(ყოველთვიურად გადასახდელი თანხა - 700 ლარი), ხოლო გადამზადების პროგრამაზე** ,,ორთოპედიული სტომატოლოგია" (ხანგრძლივობა 6 თვე) – 4200 **ლარს** (ყოველთვიურად გადასახდელი თანხა - **700 ლარი**), <u>მათ შორის პროგრამაზე ჩარიცხვის ბრძანების გამოცემამდე **გადახდილი უნდა იქნეს 2 თვის სწავლის** საფასური</u>, ხოლო მომდევნო თვიდან, ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებით დამტკიცებული სწავლის საფასურის გადახდის წესის შესაბამისად).
8. სწავლის საფასური გადახდილი უნდა იქნეს შემდეგ რეკვიზიტებზე: მიმღების ბანკი - **სახელმწიფო ხაზინა;** მიმღების დასახელება - **ხაზინის ერთიანი ანგარიში;** ბანკის კოდი - **TRESGE 22;** მიმღების ანგარიში/სახაზინო კოდი - **7 0901 7289** (დანიშნულებაში მიეთითოს სარეზიდენტო პროგრამა ,,ორთოპედიული სტომატოლოგია" **ან** მომიჯნავე სპეციალობაში გადამზადების პროგრამა ,,ორთოპედიული სტომატოლოგია").
9. პროგრამაზე ჩარიცხვის შესახებ ბსუ-ს რექტორის ბრძანება გამოიცემა გამარჯვებულ კონკურსანტებთან ხელშეკრულებების გაფორმების შემდეგ (არაუგვიანეს 2026 წლის **31 ივლისი).**
10. პროგრამაზე სასწავლო პროცესი დაიწყება 2026 წლის 3 აგვისტოს.

იხილეთ თანდართული დანართები:

1. ბსუ-ს სარეზიდენტო და მომიჯნავე სპეციალობაში გადამზადების პროგრამებზე ,,ორთოპედიული სტომატოლოგია" მიღების გამოცხადების შესახებ ბსუ-ს რექტორის ბრძანება;
2. სააპლიკაციო განაცხადის ფორმები:
   2.1. <u>სარეზიდენტო პროგრამაზე ,,ორთოპედიული სტომატოლოგია"</u> ჩარიცხვის მსურველისათვის - დანართი №1
   2.2. <u>მომიჯნავე სპეციალობაში გადამზადების პროგრამაზე</u> ,,ორთოპედიული სტომატოლოგია" ჩარიცხვის მსურველისათვის - დანართი №2.